

საქართველო

რეპუბლიკა



შაბათი 10 მან.

შაბათი, ნოემბრის 20 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური განცხადება
(ოფიციალური და არა ოფიციალური განცხადებებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან.
განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან.
სამგლოვანო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 300 მ., განცხ.
საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლო უწყ. განცხადებ.
ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-82.

სახელმწიფო თეატრი

შაბათს, 20 ნოემბერს ოპერა მუშებისათვის
„რუსალკა“
კვირას, 21 ნოემბერს მორდინის ბალეტი
„კოკელია“
ორშაბათს, 22 ნოემბერს **„ლალატი“** მეორეთ.
სამშაბათს, 23 ნოემბერს
გალასის საღამო მორდინისა **„ქიჯელ“**
დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

972 1-1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტული—რუსთაველის პრ. № 21. ტელ. 8-07)
შაბათს, ნოემბრის 20-ს და სამშაბათს, ნოემბრის 23-ს

უბვირგვინო ვეფენი

— ალ. შანშიაშვილისა.

ახალი დეკორაციები და განიხილვის მხატვარის ვალ. ხიდამონ-ერისთავისა.
ბილეთები კასაში.
კვირას, ნოემბრის 21-ს **მსხვერპლი**—ი. გედევანიშვილისა.
ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ. ხიდამონ-ერისთავისა.
ბილეთები გაყიდულია.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 971 1-1

5 დეკემბერს 1920 წ. ქ. ტფილისში.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბინაზე

ეროვნული საბჭოს ქუჩაზე (ყოფ. ფრეილინისა) ს. № 11 დილის 8 ს. საღამოს 6 საათამდის (საათი ძველი დროით) მოხდება დამატებითი.

არჩევნები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

9 წევრისა და 4 კანდიდატისა—ქ. ტფილისისა, ბორჩალოს და ტფილისის მაზრების საარჩევნო ოლქისა, 1919 წ. სიებით. ამომრჩეველთა სიების განხილვა შეიძლება პალატის ბინაზე ყოველ დღე დილის 9 ს. 2 საათამდის (ძველი დროით) საარჩევნო უფლება აქვთ, თანახმად პალატის წესდების მე-10 §-სა, მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომთ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტი.
3825 1-1

სუხუმის ქალაქის გაგებობა

აქით ახსადავს.

რომ ივანე ფირანის ძე ეზაკელი გამგეობის წარმომადგენლათ ქალაქისათვის სხვე და სხვა საქონლის შესყიდვაში აღარ ითვლება და მოწმობა გაცემული მის სახელზე ქალაქის გამგეობის მიერ № 5879 გაუქმებულია.

სუხუმის ქალაქის გამგეობა.

999 3-2

მომარაგების სამინისტროს განცხადება

მომარაგების სამინისტროს ზოგმა ყოფილმა კონტრაგენტებმა დღემდე არ დააბრუნეს სამინისტროს მიერ მათთვის მიცემული მოწმობები და მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეხლა უკვე არ ითვლებიან სამინისტროს კონტრაგენტებათ, მაინც განაგრძობენ სამინისტროს მოწმობებით სარგებლობას; განსაკუთრებით ხშირად სარგებლობენ ამ მოწმობებით სტამბოლში. ამის გამო

სამინისტრო საუბრალთაოდ ახსადავს, რომ უვალა მომარაგები, რომელნიც კი გას გაუსცია დღემდე, გაუქმებული ითვლებიან

თუ რომელიმე ჩვენი კონტრაგენტი სტამბოლში იქნება გაზავნილი, მისი ვინაობა ეცნობება საქართველოს გენერალურ კონსულს ი. გოგოლაშვილს, რომელიც სათანადო წარწერით დაადასტურებს ამ კონტრაგენტის მოწმობას.

მომარაგების მინისტრის ამხანაგი ჭავჭავაძე.

994 1-1

მომარაგების სამინისტროს აქტით ახსადავს.

რომ ქუთაისის გუბერნიის, სოხუმისა და ბათუმის ოლქებში სიზინდის და სხვა ხორბლეულობის ყიდვა-გაყიდვა და გადატან-გადმოტანა სრულიად თავისუფალია. თავისუფალია აგრეთვე აღნიშნულ ადგილებიდან სიმინდისა და სხვა ხორბლეულობის გატანა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და სოფლებში ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული.

მომარაგების მინისტრის ამხანაგი ჭავჭავაძე.
994 3-3

ოფიციალური განცხადება.

დეკრეტი

სახელმწიფო დაწესებულებათა შესახებ 1920—1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშით თანხის გადადებისა.

1. ამა წლის ივნისის 22-ს და აგვისტოს 16-ს დეკრეტების დამატებად „სახელმწიფო დაწესებულებათა შესახებ 1920—1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშით სათანადო თანხის გადადებისა“, გადადებულ იქნეს მთავრობის ვანკარგულებისათვის ამა 1920 წლის ნოემბრის 1-დან დეკემბრის 31-მდე სახელმწიფო დაწესებულებათა შესახებ ამ დეკრეტთან დართული ნუსხის თანახმად, 1920—1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშით: ნოემ-

ბრისათვის ხუთას ოთხმოცდა ოთხთმეტი მილიონი სამას ოთხმოცდა ორმოცდა ათას ორას სამოცდა ჩვიდმეტი (595.392,277) მანეთი, —დეკემბრისათვის ოთხას ოცდა ათი მილიონი ცხრას ოთხმოცდა ჩვიდმეტი ათას ხუთას ოცდა შვიდი (430.997,527) მან., სულ—ერთი მილიარდი ოცდა ექვსი მილიონი სამას ოთხმოცდა ცხრა ათას ორას ოთხი (1.026,389,804) მანეთი.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღების დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. ნოემბრის 12-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

ნუსხა.

1920 წ. ნოემბრის პირველიდან დეკემბრის 31-დე მთავრობის ვანკარგულეებისათვის გადასაცემი უოველდღიური კრედიტებისა სახელმწიფო დაწესებულებათა შესახებ.

უწყებათა სახელწოდება.	გამოთხოვილია 1920—1921 წლ. ანგარიშით.		
	ნოემბრისათვის.	დეკემბრისათვის.	სულ.
დამფუძნებელი კრება	2277936	2277936	4555872
მთავრობის საქმეთა მმართველობა	539948	539948	1079896
შინაგან საქმეთა სამინისტრო	46072790	46072790	92145580
სახალხო განათლების სამინისტრო	43085570	29503070	72588640
სამხედრო სამინისტრო	119536533	119536533	239073066
სახალხო გვარდია	34932268	34932268	69864536
საგარეო საქმეთა სამინისტრო	3577262	3577262	7154524
იუსტიციის სამინისტრო	70877960	20676010	91553970
ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო	110530185	9949885	120450070
მიწათ-მოქმედების სამინისტრო	28339721	28339721	56679442
გზათა სამინისტრო	133920612	133920612	267844224
შრომის სამინისტრო	502113	502113	1004226
სახელმწიფო კონტროლი	1199379	1199379	2398758
სულ	595392277	430997527	1026389804

1920 წლ. ნოემბრის 12-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

ვანკარგულეების

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

6 ნოემბერი, 1920 წ.

თანხმად ქართულ სავაჭრო საბაიო ამხანაგობა „ივერია“-ს შევადგინე საერთო კრების შუამდგომლობისა, ამა წლის 2-ნოემბრის

თარიღით, ნებას ვრთავ ვადმოტანილ იქნას ხსენებულ ამხანაგობის გამგეობის ადგილსამყოფელი ქალაქ როსტოვი-დონზე-დან ქალაქ ტფილისში სათანადო შესწორების შეტანით მათი წესდების მე-23 §-ში.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. ავალიანი.

